

1939

ნიკოლაი

№ 4. 1939. 6
გამ-ბა., კომენისტი
ვასი 60. 3.


საქონის და
ურთიერთობის



11 დღის 11 30 000 600. 3. 3. (გ) 80-XVIII ქანიშვილი

ნახ. 8 მდგრადი

27/11
49
9
22



„თხოვენა“

— ფრანკოს შთავრობაა, გთხოვთ იცნობდეთ...

პეტეკი ღიარ ყაირობას

კრემლის მაღალი კოშკიდან ლალის ვარსკელიათა სხივები
კიდითი-კიდეს სწვდებიან ძლევის შედ განალვივები,
სოციალიზმის საშობლოს დიადი დედაქალაქი
ბრწყინავს — მისი ცა ვინ ნახოს თუნდ ერთი ღრუბლით ნალაქი?
და საზეიმოდ მორთული ირგვლივ სინათლის მფრქვევია, —
ხარობს, მღერის და იცინის ვით მზიანს მუდამ სჩვევია, —
ქვეყნის აჩეული მებრძოლნი დღეს მას სტუმრებად სწვევიან
მოაქვთ ღროშები — პატარკად ზედ გამარჯება სჭერია.
ლენინ-სტალინის პარტიის დღეს მეთვრამეტე ყრილობა
ხსნის ისტორიის ახალ კარს, სტედის ბედის ახალ ტკბილობას,
ბრძენი ბელადის სარდლობით ძლევამოსილად მავალი
პარტიის გამარჯვებები — მტკიცე, ურყევი, მრავალი
მზის ყვავილებად გაშლილა მშრომელთა ნეტარ ბედზედა —
დგას სიხარულის ამინდი მსოფლიოს შეექცედზედა.
ამ სიხარულის ზეიმით ხვდება მას ჩემი ქვეყანა.
მისი მძღვარი და დიადი სიმღერა ისმის ყველგანა,
მისი ჯანსაღი სიკილი — ბედნიერების დარია,
მის ძლევამოსილ ღროშებს ცა ზღვა შუქით დაუთარია
და ეს შუქია ჩენ გულში რომ მოსჩერებული უქრობ ხალისად, —
დღე დღევანდელი გვახარებს, გვალებს სილაღ ხვალისაც.
და სინამდვილედ ქცეული ნატვრა ძველ თაობებისა —
ჩენ გვალებნს, ჩენი ხვედრია, სჩეფს შადრევანად შვებისა
და ამ დოვლათის პატრონ ხალხს — დიახაც მოელხინება —
მხესაც ამაყად შეხვდავს, გულს სხივიც მოეფინება,
სიმღერას იტყვის გულითა, ჯანსაღიად გაეცინება,
ძმას — ძმიდას უზამს, ხოლო მტერს — სიკვდილად დაეღირება.
მტერი? განა არა ხოხავს მოღალატე შინ თუ გარეთ?

განა გველმა არა სცადა — შხამნაკბენით გავემწარეთ?
განა ცოტია ჯაშუში თუ გამცემელი თხრიდა ხვრელსა,
რომ შემდეგში ეხითხითა — ვით იუდა გამცემელსა?
მაგრამ ქვეყნის რკინის ხელმა გრიგალს მისცა მათი მტვერი
და ნაცარში გადაუგდო კოვზი ხელში დანაჭერი;
ზოგმაც სცადა ჩვენს ბოსტანში ღორულ დინგის გადმოყოფა,
მაგრამ რა პატივიც ვეცით, სამახსოვროდ კი — ეყოფა,
და ეს წესი მასპინძლობის ძალაში გვაქვს მომავალშიც, —
მოქლედ — ჩვენს მტერს არასოდეს არ დავრჩებით ოღნავ ვალში —
ისე დავკრავთ, ქარს მიჭქინდეს ფერფლი მათის წადილისა,
მელავიც გვიჭრის, ხმალიც გვიჭრის, ძალაც შეგვწევს ქადილისა.

დიად ყრილობას ჩენ ვხვდებით ამ მიღწევათა ჯამითა,
პატაკს უგზავნის ქვეყანა კრემლს — ამაყ სითამამითა,
ჰპირდება ბოლშევიკურად ახალ და ახალ გმირობას
და სიტყვას აძლევს, ფიცას სდებს, რომ შეასრულებს პირობას,
ამ პირობაში ნიანგაც შექვს თვის ვალდებულებაც:
კვლავ დაუნდობლად განგმიროს — თუ მტერი დაეგულება —
უსულგულობას, სიტლანქეს, მლიქვნელობას თუ ყბედობას —
დაპკრას დაცინების ჩანგალი — როგორც დასაგმობ ქმედობას,
იბრძოლოს ჯანსაღ სიცილით — ამ ბასრი იარაღითა,
და ყველა ნაკლის იარა განკურნოს სიტყვით სალითა,
რომ ამიერით ქართული იუმორი და სატირა —
იმილლდეს ხალხის სალხენად — ხოლო დუშმანთა სატირლად.



მორიგი ფაშისტები სეანსი

გრავირული ტაზის ტიპი: (ბრიტანულ ლომს) — აბა, უჩვენე „მიშკა“ დუჩქე, როგორ უნდა გადასცეს კოლონიები ხაფრანგეთშა იტალიას...



თარიღის ხუროვები



ფორიაქებელი მდგმურის ზინას მივადეჭით.
ყური მივუგდეთ.

— ბრახ... ბრუხ... ბრახ... ბრუხ... — მო-
სმოდა რიტმიულად.

კარებზე მივაკაუნეთ, გაალეს.

— ოქვენ უსაზღვროდ გადააჭრბეთ, ძვირ-
ფასნო, — მიმართა კომენდანტმა, — უნდა იცო-
დეთ, რომ თქვენს გარდა სხვასაც უნდა ცხოვ-
რება.

— ჩვენ, საერთოდ, არაფერსაც არ ვაბრა-
ხუნებთ. შეშა არ ვვაქეს დასაპიბი და ჩიკო-
რი გასათლელი. ეს ცილისწამებაა! — განცხა-
და ქალმა.

და მუქარით გამოვისტუმრა:

— ოქვენ ჩვენ სხვადასხვა არ ვეგონოთ,
ცილისწამებისათვის პასუხს გაგებინებთ, იცო-
დეთ.

შეორე დილას კი კვლავ გაისმა ჩემი ითა-
ხის თავზე რიტმიული:

— ბრახ... ბრუხ... ბრახ... ბრუხ...

ნერვებაშლილმა კარგახანს ვიფიქრე და
შემხვედრი გეგმა შევადგინე:

ავიღე ნოტებზე ჩაწერილი ერთერთი ახალ-
გაზრდა კომპოზიტორის მუსიკა, და ყელმო-
ლერებით შემოვახახე:

„რა გინდა, რას მერჩი
ჩემო ლამაზო...“

შენმა ქცევამ გულზე
დალი დამასო...“

ამ მუსიკამ და ნაწილობრივ ჩემმა სმამაც
იქამდე მიმიყვანა, რომ ნახევარსაათიანი კონ-
ცერტის შემდეგ იძულებული გაეხდი თავის
ტეიკილის ფხენილი გადამეყლაპა და ბედს
შევრიგებოდი.

ითახის თავზე კი კვლავ გაისმოდა რიტ-
მიული:

— ბრახ... ბრუხ... ბრახ... ბრუხ...

ამ დღეს, კომენდანტის მიერ გავრცელე-
ბულ ჭორი დაირჩა ექოში:

— ტყუის ამხანაგი გიორგი, არავითარი შე-
წუხება. პირიქით, ახალი მდგმურის ცოლი
ჰყავარებია და ინტრიგის აგდებს. მე თითონ
გავიგონე ჩემის ყურით, როგორ ხმამაღლა
უმღეროდა ამ დილით ახალი მდგმურის ცოლს
დამდაგველ რომანს.

მაგრამ ეს ჭორი ახალი მდგმურის მომიჯ-
ნავე მეზობლებმა გააქარწყლეს: დაამტკიცეს,
რომ ახალი მდგმურის ითახიდან ყოველ დი-
ლას ისმის თუმცა რიტმიული, მაგრამ მაინც
ნერვების ამშლელი:

— ბრახ... ბრუხ... ბრახ... ბრუხ...

ახლა ორგანიზაციულ ზომებს მივართეთ:

ახალი მდგმურის მომიჯნავეს, ესტრადის
მომღერალ ქსენოფონტეს ვსთხოვეთ, რომ
ყოველლამე, კონცერტიდან დაბრუნებისას,
თავის ითახში შეესრულებინა ორიოდე საეს-
ტრიადო ნომერი, შეეწუხებინა, გამოელვიძები-

ნა ახალი მდგმური და ეკრანობინებინა, რომ
ქვეყნად, მათ გარდა სხვებიც ცხოვრობენ.

შევიძინებ ნახევარი კილო ბაშა, ნაწილი
ჭურებში გავიკეთე, დანარჩენით ფანჯრების
ნახვრეტები ამოვჭოლე და ქსენოფონტე შე-
უდგა დავალების ასრულებას.

ცდამ კარგი შედეგი გამოიღო: ახალმა
მდგმურმა არამც თუ მიატოვა რიტმიული
ბრახა-ბრუხი, სრულიად მიატოვა ცოლი და
ექოდან გაქრა. კომენდანტმა კი ქსენოფონ-
ტეს შეზობლების რამდენიმე განცხადება შეუ-
ტინა, რომლებიც უწყებდნენ, რომ ვიდრე
ქსენოფონტე კუთხაზე არ მოვიდოდა, შეწუხე-
ბული მეზობლები სტოვებდნენ ბინას და ნა-
თესავებთან მიციოდნენ ღამის გასათევად.

გაქცეული მდგმურის ცოლიც მიეჭრა კო-
მენდანტს:

— თქვენი მდგმურების თავხელობამ იქამდე
მიყვანა ჩემი ქმარი, რომ მიმართოვა და გა-
იქცა, მე სიმართლეს დავეძებ ამ ქვეყნად, მე
დანაკარგის ანაზღაურებას მოვითხოვ! — ყვი-
როდა იგი.

კომენდანტმა როგორც იყო დაშოშმინა
დაზარალებული და ჩვენს ექოში დაიწყო მშვი-
ლობიანი, წყნარი ცხოვრება.

ერთი კვირის შემდეგ კომენდანტმა ბარა-
თი შემოიტანა ჩემთან.

— აი რას იწერება ახალი მდგმურის გაქ-
ცეული ქმარი. — მითხარ მან და ბარათი გად-
მომცა.

ბარათში ამოვიკითხე:

„შეურაცყოფილო მეზობლებო!

პირებელი ყოვლისა, ბოლოშ გიხდი შე-
წუხებისათვის. და თქვენს თვალში, რომ უსინ-
დისო ადამიანის შთაბეჭდილება არ დაგტო-
ვო, მინდა პატარა განმარტება მოგცეთ:

გეცოდინებათ რა არის ახალი მდგმურის ცო-
ლი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცოლის მე
მესამე ქმარი ვიყავი, მაინც მიყვარდა იგი და
პატივს ვცემდი. და რა წინააღმდეგობა უნდა
გამეწია საყვარელი არსებისათვის, როცა
პროფესიით ცეკვის მასშავლებელი იცხადებდა
პრეტენზიას, რომ ათასებისთვის ცეკვა უსწავ-
ლებია და მისმა ქმარმა კი ცეკვა არ იცის.
და აი, ყოველდილას, სამსახურში წასკლის
წინ ცეკვის გაეცეოლები იყო, თქვენ რომ
ნერვებს გიშლიდათ“...

შეტალი ბოლომდე არ წიმივითხავს.

8. ივანიშვილი.




— დედა ხარ? ახლავე წამოვალ ტროლეი-
ბუსით. ჟა? დედა არა ხარ? ბოდიში...



— დედა ხარ? მოვდიფარ ტროლეიბუსით.
ჟა? მიწასკომია? ბოდიში...



— დედიკ, დედი ტროლეიბუსით მოვ-
დიფარ. ათ წუთში მანდ ვიქნები. ჟა? ავტო-
ტრესტია? ბოდიში...



— დედა ხარ? ჟო? ტროლეიბუსის ფული
აღარა მაქვს, ფეხით მოვდიფარ, სამ საათს
დაზაგვიანდება...

ტროლეიბუსის სურა

კურტ ცვაიგერი—ბერლინელი ახალგაზრდა
ავად გახდა. ჯერ არ ნებდებოდა კურტი სენს,
არ წვებოდა, მაგრამ მალე ლონე დაკარგა,
მიიღია და ჩალგინდა.

ავადმყოფობა რაღაც ახირებული ხასია-
თისა იყო: არც სიცხე, არც ხველა, არც
ჰვალი—არაფერი ფიზიკური რამ დაავადე-
ბის ცნობილი ნიშანი არ შეუმჩნევიათ მშობ-
ლებს. მაგრამ კურტი ჩაყვითლდა, ჩამოხმა.
დაფიქრებული დადიოდა, გაურბოდა აღამი-
ანებს,—ჭიგნებს.

დედა მზრუნველობით ეკითხებოდა:

- კურტ რა გტქვა შვილო?
- მე? არაფერი.
- როგორ არაფერი, როცა ფერი აღარა
გაქვს?
- არაფერი მეთქი.

დედამ მთელი ბერლინი შესძრა, რომ
როგორმე მცირეოდენი კარაქი ეშვენა. დიდ-
ხანს მოუხდა ფაშისტურ გერმანიაში ამ სა-
ნატრელი პროდუქტის ძებნა, მაგრამ ბოლოს
მიაგნო შორეულ ნათესავს, რომელიც მოიე-
რიშეთა რაზმში მსახურობდა, და მაშასაღმე,
შესაძლებლობა ჰქონდა, ძალით ჭაერთმია,
ან ქროამად აელო კარაქი.

კარაქი იშოვა დედამ.

მთელი ორასი გრამი კარაქი!

— კურტ, ახლა კი, იმედია, გავახარებ,—
იo რა გიშოვე. და დედამ ხუთმაგად შეხვე-
ული კარაქი სიფრთხილით გახსნა და მაგი-
დაზე დაუდო ავადმყოფს.

— არ მინდა,—ინდიფერენტულად განა-
ცხადა ახალგაზრდამ.

დედა განცვიფრდა.

— როგორ, კარაქი არ გინდა? ეს შეუ-
ლებელია შვილო, კარაქი, ნამდვილი კარაქი,
—შენ გვინია ქვანახშირისაა?—არა, ნამდვილი
ძროხისა, ოლონდ ორმოცი პროცენტი მარ-
გარინი ურევია.

— არ მინდა,—იყო კვლავ პასუხი.

მაშინ დედამ გადასწყიოთ, რომ კურტი
უიმედოდ შეევარებულია და მეტისმეტად
განიცდის.

— კურტ, საყვარელო, ვინ გიყვარს,
სთქვი გულაბდით, დედა ვარ, ნუ მომერი-
დები.

— მიყვარს?—გესლიანი ირონიით მიუგო
ახალგაზრდამ,—განა ფაშისტებმა გერმანიის
ახალგაზრდობას იმდენი გრძნობა კი შეგვარ-
ჩინეს, რომ სიყვარულზე გიფიქროთ?

გულდაშვეტილი დედა საჭრნეტილში ჩა-
ვარდა და გამოჩენილ პროფესორს მიიჩინა.

— კი, ის არის მელანქოლია. თავისთვის
ჩაილაპარაკა პროფესორმა.

— რას იტყვით ბატონო პროფესორო?

— გულაბდით უნდა გითხრათ, შძიმე ავად-
მყოფი თქვენი შვილი, უნდა ურჩიოთ გამაგ-
რდეს.

— წამლები?—სასოწარკვეთით უთხრა დე-
დამ.

— წამალი ერთია. მაგრამ მისი გამოშერა
არ შემიძლიან.

— ბატონო პროფესორო, შემიბრალეთ
მეტი შვილი არ მყავს, ნუთუ თქვენ არ იცით
მშობლიური გრძნობის სიმწვავე?

— სამწუხაროდ ვიცი, მაგრამ მაინც არ
შემიძლიან გამოვუწერონ წამალი.

— რატომ ბატონო პროფესორო, განა ისე
ძნელი საშოგნელია?—მე თვით კარაქიც კი
ვიშოვე ბერლინში...

— არა, უფრო ძნელია.

— მაინც რა წამალია ისეთი?

— გეტუვით, მაგრამ გთხოვთ, არ გამცეთ.

— ოლონდ მითხარით, გეფიცებით, რომ
არ გაგამხელო.

— მაგის ავადმყოფობის წამალი, მხოლოდ
სიცილია,—უთხრა დაწეული ხმით პროფე-
სორმა,—კურტი მელანქოლიითაა ავად.

— სიცილი? ეგ რა სთქვით.—და დედას
სევდიანმა, მწარე ლიმილმა სახე გაუმრუდა.

— არა, მაგისთანა მწარე სიცილი კი არა,
ნამდვილი, სალი გულიანი სიცილი, ის ახლა
აკრძალულია გერმანიაში.

— თქვენ დაუჯერებელს ბრძანებთ პროფ-
ესორო, სიცილს რომელი ჭკვათამყოფელი
აკრძალავდა?

— თქვენ ალბად მცდით ქალბატონო, მე
დამსახურებული კაცი ვარ, ეგ არ უნდა მაქა-
ლროთ. როგორ შეიძლება არ იცოდეთ, რომ
ბატონმა გებელსმა საჯაროდ აკრძალა სიც-
ილი გერმანიაში, იმიტომ, რომ ამას მოით-
ხოვს მესამე იმპერიის პრესტიუსი?

— პროფესორი სასწარფოდ წამოდგა და
გულმოსული გავიდა ოთახიდან.

— სიცილი აკრძალეს? მაშ შეიძლება
სიცილისაგანაც ზარბაზნები კეთდება, რომ
ხალხს სიცილიც წარათვეს,—ფიქრობდა სა-
სოწარკვეთილი დედა და მის სახეს ირონიის
ლიმილი სერავდა.

პრინციპის „გულობიზა“

(კუკის დისეპანისი, ზოვ. ავაულათორი)



საბჭოს ქუჩაზე მცხ. მოქალაქეს უ. ელიაშვილს ბავშვი მძიმე ავად გაუხდა. მას დამბლის ნიშნები და, შემდევში მინინგიტი აღმოაჩნდა.

სასწრაფო დახმარებას დაურეკეს.

— მოგვეცით რაიონის ექიმის დასკვნა. — უპასუხეს ბიძიებმა სასწრაფო დახმარებიდან.

გამოიწერეს ექიმი. დილის 10 საათზე მოვაო, — უთხრეს.

მოელოდნენ რაიონის ექიმს თამარა სიხარულიდეს.

გახდა 12 საათი, დღის 2 საათი, 4 საათი, ხუთი, ექსი, შვიდი... ამ ხნის განმავლობაში შეიძლებოდა გამოჩენილიყო ახალი პლანეტები, მოვლენილიყო იხალი საოცრებანი ბუნებისა, დედამიწას მიახლოებოდნენ ახალი, ჯერ ყველასაგან უცნობი კუდიანი ვარსკვლავები, მაგრამ ელიაშვილისათვის ყველაზე უფრო სანატრელი ვარსკვლავი, ყველაზე უფრო „შორეული“, მცურვდომელი და აღმოუჩენელი პლანეტა, — რაიონის ექიმი თამარა სიხარულიდე კი არსად სხანდა.

ექიმ სიხარულიდეს მოლოდინმა სიხარულის ნაცვლად კაეშანი გაიმეფა ბავშვის მშობლების ოჯახში.

ჭირისუფლების ნერვიულობას საზღვარი არა ჰქონდა, ბუნებრივია:

— თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი უნდა მივიღეს მთასთან — მოაგონა ჭირისუფლების ბრძნული ანდაზა მისმა მეზობელმა თ. მამალაძემ.

ჭირისუფლებმაც საბჭოს ქუჩაზე მდებარე მეორე დისპანირს მიაშერეს.

სამორიგეო ოთახში — აღმოაჩნდა თამარა

სიხარულიდე, მის თანაშემწევ ვაჟთა შორის მჯდომარე ტახტსა ზედა და მოლულუნე, ვთარცა მტრედი.

— გთხოვთ წამობრძანდეთ... მძიმე ავადმყოფი მყავს... დილიდინ გელით,

— თქვენ ვინ ბრძანდებით? ზის 101-ით მობრძანდით?

— არა.

— მ—1—ით?

— არა... — დაბნეულად უპასუხეს ჭირისუფლებმა.

„დაუპატიჟებელ სტუმრების“ გამოჩენამდე მტრედივით მოლულუნე თამარა სიხარულიდემ ახლა უკვე გაჯავრებულ ვეფხვის სახე მიიღო.

— გთხოვთ წამობრძანდეთ... მძიმე მდგომარეობა.

— იგრე იციან ჭირისუფლებმა.

— დაგვიანება საშიშოა... გთხოვთ.

— არ წამოვალ.

— თქვენ გვეალებათ, ჩემი ბავშვის ნახვა.

— არ წამოვალ. მე ფეხით არ დავდივარ.

არ წამოვალ. მორჩა.

— „წადით. არ იქნება“... — ურჩიეს „ქალბატონ თამარს“ თანამშრომლებმა.

— არ წაგალ. ფეხს არ გადავდგამ.

— ექიმი ხართ... გვეალებათ. — მოკრძალებით გაუმეორეს მას.

— არ წაგალ. ფეხს არ გადავადგამ დიპლომს დავდებ და ფეხს არ გადავდგამ პრინციპის გულობიზა.

არავის თხოვნამ არ გასკრა.

„მხეცი ყოფილა თამარი ჩენი

ერთი აჯამი, გულქვა, რეგენი

იმას კაცებრი გული არ ჰქონდა

რომ ავადმყოფი შესძრალებოდა“

ითაქრეს გულში გაშილებულებულ ცენტრულ უფლება. დამბლადაცემული წევინის წროვერებით შეპყრობილი ავადმყოფი ბავშვი ეტოში „ჩაჯინეს“ და ქალაქის მეორე საავადმყოფოს ნერვიულ განყოფილებაში მოათავეს...

ამ სტრიქონების დაწერის დროს „ექიმ“ თამარა სიხარულიდისაგან განწირული ბავშვი ლამარა ელიაშვილი საავადმყოფოს სარეცელზე სულთმობრძავი წევს, საბჭოს ქუჩაზე მდებარე 2 დისპანისერში კი აღმართ „ექიმ“ თამარა სიხარულიდისა და მისგან მიტოვებულ ავადმყოფთა ჭირისუფლებს შორის ასეთი დიალოგი სწარობობს.

— გთხოვთ წამობრძანდეთ... მძიმე მდგომარეობა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? ზის 101 მობრძანდით?

— არა.

— „ემადინით“?

— არა... გთხოვთ წამობრძანდეთ... მდგომარეობა.

— ასე იციან ჭირისუფლებმა.

— უმორჩილესად გთხოვთ.

— არ წამოვალ. მე ფეხით არ დაედივარ... არ წამოვალ.

— თქვენ გვეალებათ... ექიმი ხართ.

— არ წამოვალ. დიპლომს დავდებ და ფეხს არ გადავდგამ პრინციპის გულობიზა.

ჩვენ გვინდა „პრინციპის გულობიზა“ შევეითხოთ:

— როგორ მოგწონთ ეს დიალოგი თბილისის ჯანგანყოფილების მესვეურებო?

მიღუბა.

საკეთ გაჩარჩევის...

(გულაბაყარი, დუშეთის რ.)

ნახ. დონისა

ჩვენს ვეტერიმს, გოგიას —
ცოცხალაშვილს გვარადა,
ძმაბიჭების ამქარი
ახვევია ჯარადა.

კახურ ღვინოს გადაპყრის
დაუტებება გულია,
მაშინ ხევწნა არ უნდა
საქმე გაჩარჩელია.

გლეხს დაუტერს მოწმობას.
ეტყვის: არ მწამს ნისია,
შენი ძროხა საყოლად
აწი უვარებისია.
გაყიდე და მოგება
მეც მარგუნე მისია.



— გესმის ბიჭო? ჩე დაგულშუნებიგარ. უფარგისია, უთქვამს. ახ, ნეტავ მაჩვენა ის გილაც ექიმია, რომ ჩემი ვაუკაცობა დავუმტკიცო!

ჩიქონის ბიბი

ჩერე ვასო ღირებორი
სკოლაში ღირებორი
(კასპის რაიონი)

თელათვორისა შვიდწლედი
შენდება, ხუთი წელია,
ამოყვანილი კედლები
ჩარდას ამაოდ ელიან,

თვით სკოლა კერძო სახლშია,
შეკედლებული ორადა,
მას ვასო ანდოულაძე ჰყავს
დირექტორ—დიქტატორადა.

სკოლა—ოჯახად აქცია,
რომ პქნედეს შეტი მოგება,—
ცოლი და ლაი დანიშნა
„გამოცდილ პედაგოგებად“

მათ აჯალდოვებს, ხან სახლში
ვით დირექტორი „ავლინებს“,
სხვა შესწავლებლებს—ზოგსა ხსნის,
ზოგს კი ტუქსავს და აგინებს.

გლეხებსაც სალაში არ აძლევს,
არა კადრულობს—ცხადაა,
ნაანგო, ის შენს საკბილოდ
თელათვორს გაუმზადია.

თელათვორილი

ამსერეს და ჩამომსერეს

(ბორჯომი—ბალი)

გამწის და გამომწის,
დამასკუპეს სკამზედაო,
პირდაბლაგვულ სამართებელს
მაგრად მისმენ კანზედაო.

ამსერეს და ჩამომსერეს,—
მამშვიდებენ—„ნიჩევოა“,
შენ ხომ პირველი არა ხარ,
შენებრ გადის, ვინც შემოვა“.

რა არ სცადეს, რა არა ჰქნეს,
ვერ შესწყვიტეს სისხლის დენა,
ჯერ იოდი დამაშეფეს.
შემდეგ ბამბა—რამოდენა!

განსაცდელი დამთავრდა და
მეც ამაჯად გამოველი,
წვერ-ულვაშის ჯიჯგნას-გლეჯას
მე ბოლომდე გავუძელი.

რახი



ტეამყრინი ხიხაკუკო

რაოდინები

— ახა მასზე... ძალიან უტერები და უშემშენებელი ბოდა: წითელარმიელები ახლა ისეთები არ არიან, როგორიც მაშინ იყვნენ სამოქალაქო მოის დროს.

— მართალი უთქვას. — უთხრა ექიმია.

— როგორ თუ მართალი, ვერა ხედავთ რა დღე დაგვაყენეს?

— დიახ, ისეთები არ არიან, როგორიც მაშინ იყვნენ. ახლა ისინი უფრო ძლიერნი არიან, უფრო უძლეველნი. ეს, ბატონო პოლკოვნიკი, მხედველობაში უნდა იქონიოს ჩვენმა სარდლობამ და მეტი ჭკადახელულობა უნდა გამოიჩინოს.. დიახ, ეს სისულელე იყო, უტევინობა, უჭიუობა. — ვეღარ ითმენდა ექიმი, რომელსაც ამავე დროს ეშინოდა ასეთი გულახდილობისა და თავისი აზრის აშკარად გამოთქმისა.

— როგორ თუ უტევინობა და უჭიუობა იყო, როცა ეს „ტეინის ტრესტის“ დასტურით მოხდა! — აღელდა ხიხაკუკო.

— ნუ ღელავთ, ბატონო პოლკოვნიკო. — დაამშვიდა ექიმმა. — თქვენი მდგომარეობა ძალზე სერიოზულია: თქვენ თავში ხართ მძიმედ დაჭრილი, თავისი ქალა გაქვთ გახვრეტილი და ტეინი მოჩანს.

— რაო, ექიმო? — გაკვირვებით იქითხა და ჭრილია და წამოდგომა დააპირა.

— დამშვიდით. რამ შეგაშინათ?

— მე მისარია, ექიმო. — წამოიძახა მან და გაიცინა.

„ალბათ ჭკუიდან შეიშალა“, — გაიფიქრა ექიმმა და დაუწყო დამშვიდება: — დიახ, უნდა გიხარიდეთ, რომ გადარჩით. ჩვენები სულ გაანადგურეს, თქვენ კი გადარჩით, დიახ უნდა გიხარიდეთ...

— ექიმო, ტეინი მიჩანს?

— გიჩანს, მაგრამ, რა ვუყოთ...

— ის ვუყოთ, ჩემო კარგო, რომ ცოტა ამოილეთ და ტოკიოში გაუგზავნეთ გენერალ ცუმხლიცას, რომელიც ჩემზე ამბობდა, რომ უტევინოა. დიახ, გაუგზავნეთ და დაუმტკიცეთ, რომ მე უტევინ არა ვარ...

— ეგ რა საჭიროა?

— „ტეინის ტრესტის“ მომავალ არჩევნებში ჩემს კანდიდატურას წამოაყენებენ.

ი. ხინვალი



— რა მოხდა? — ძლიერ გასაგონად წიკითხა მან.

უამბეს მომხდარი ამბავი.

— იმ ძალმა გამაბრიყეა, რუსი გენერალი რომ იყო. სად არის ის? — იკითხა ხიხაკუკომ.

— იქვე მოჰქლეს.

გეგმვის შესრულება

ქუთაისის რაიონგზაო განკ. გამგეს, რომელმაც შემთხვევით გაი-არა ს. ხცისში, ხიდი ჩაუტყდა და წყალში ჩაგარღნის გამო, მთლად დაუსცელდა რაიალმასკომისადმი ნინაწერი პატაკის ასლი ხიდ-ბოგი-რების შეკეთების გეგმის 200% შესრულების შესახებ.

გისტი

ჩხუბი სულ არაფიჩები

ს. ქვედასაზაროს (ზესტაფონის რაიონი) საშუალო სკოლის მას-წავლებელმა მიშა აბესაძემ ჯერ ვაჟკალურიდ ლეჭა სახეში მოწაფე ილავიძეს და შემდეგ ლანძლვა დაუწყო: მაგარი კანი გქოხია და ხელის გული მატკნეო.

გასაჩინი

კაცი უდია მჩო იუოს

ს. დვანკითის (ჩხარის რაიონი) არა სრული საშუალო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე წაქაძემ მასწავლებელთა სახელით კო-ოპერატივიდან გამოტანილი 80 მეტრო ფართალი და სხვა მატერიები თავის სახლისაკენ გააქანა იმ მოსაზრებით, რომ მასწავლებები „ხლოსტოი“ ბიჭები არიან და მე კი მთელი თვეა, რაც დავჭრო წილდიო.

გლარჯება

„ბრძნული განკარგულება“

ჩხატაურის რაიონის ფოსტის გამგემ ვასო ცინკაძემ თანამშრომ-ლებს დაავალა, რომ უურნალ-გაზეთების ხელმომწერთა მოუცდელობის გამო, მათი უურნალ-გაზეთები აგროვეთ და ყოველ თვის ბოლოს უკლებლივ ჩაბარეთო.

განკარგულება დღემდე უცვლელად სრულდება.

ხვისელი

სასტუმრო „ბოლიგი“

— რაც გიყვარდეს, მას ეტრფოდე, მას უთმობდე სამფლო-ბელოს.

გავიფიქრე და ვესტუმრე მე დასავლეთ საქართველოს.
ოლტაცებით ცას ვწვდებოდი, გულს განშორდა ვაი-ვიში,
და ღამისა გასათევად მუნ მოვეძენე მე „ოდიში“.
სასტუმროს კარს მივადეჭი, როგორც დედას პირმშო შვილი,
წინ ნაგაზი შემეფეთა, სპილოს ჰგავდა დალოცვილი.

— გაიმე თქვა.—დავიყვირე, შიშისაგან გასქდა გული
და ნაყიდი ნაოულ ფულით გადავუგდე ძალლს სულგუნი.

— მი რექიო,—ხმა მომესმა, ვხედავ, უცხო ბრძანდებითო,
ბრძანე რითი გემსახურო მოვლენილო განგებითო?

— ჩქიმი ჯიმა, ჩქიმი სკუა, ჩქიმი თოლიშ ნუგეშითქმ,
ეს ნაგაზი მომაშორე, წამიყვანე ნომერში-თქ.

წამიყვანა, შემიყვანა, დამაჯინა გამეცალა,
მყისე სანოელი ჩაქრო, ტანზე გახდაც არ მაცალა.

სიბნელეში დავრჩი ობლად, გული მომდის, თანაც მშია,
დავწეჭი და თივის ღრერი დამეტაკა ბარძაუშია.

მეორე დღეს გამელინია, მომკლებოდა ერთი ფუთი
თერმომეტრში რო ჩაეხედე, ვნახე—მინუს ოცდახუთი.

მყის სულგუნი მომაკონდა, გული მიმდის ისე მშია,
დაბლა ჩაველ და შეკედი სასადილო დარბაზშია.

— საღ არის-თქო თქვენი გამგე?—ვთქვი და გულში დანა
მესო:

— რას ცხარობო? დამიყვირეს,— ალბათ ღვინოს
მიირთმევსო.

შემეშინდა, ვერ გავბედე შემერისხა კვლავ „ოდიში“,
და სტუმრისა წესისამებრ, მოვიხადე მყის ბოლიში.
აშის შემდეგ აღარ მინდა სიტყვა „ეშხიო“ ვაფერადო,
ესეც შენი „ოდიში“ და ესეც შენი „ელდორადო“...

გლარჯონ-ბი

ახალი ცაშარობი

პოეტმა სტრიქონა ფულიმინდაშვილმა დასწერა წილი მიმოცუ
რაეპიანი განცხადება ავანისი შესახებ პონორარმა წევარის გრაფი

თარაღველთა სემციაზი

დრამატურგმა რავა კეთორიამ ხელშეკრულება დასდო ქართულად
თარგმნილიდან რუსულად თარგმნის შევარების „უბრალო გოგონა“
პონორარის დაკვირით წესით მიღების საფუძველზე.

ესტრადის ფრონტები

ვოლდევილების თეატრის ხელმძღვანელობამ მტკიცე დავალება
მისცა თავის მსახიობებს და სახესტრადის ტეპერისონალს თითო-
ეულმა მათგანმა დასწერონ ყოველთვიურად ერთხაუგარი ვოდევილი.

ახალი ზიზი

ორი წელიწადია, მზადდება დასაბეჭდად ექვატორიანი ლიტერა-
ტურული ქრონიკა „სახელგამის დაპირება“. წიგი გამოდის ფული-
მინდა ფორმაშვილის რედაქტორობით. წიგნი ხელისმომწერლებს არ
დაურიგდებათ.

გიგანტის გაზარზე

გამოვიდა და იყიდება მწერალ რეკლამირ ნ ისევარის ხუთასგვერ-
ლიანი წიგნი: „რაზე ვმუშაობ“. გამომცემლო ის მიერ მომავალ წლე-
ბის გეგმაში შეტანილია ამავე ავტორის ექვატორიანი პოემა: „ლექ-
სებსაც ვწერ“.

ნახ. მიხ. ოთაროვისა.



— სამი ცოლის გამოცვლის შემდეგ თქვენთვის ხეგერს ჩემი
გული. თუ არ მითანამიგრნობთ ამ ხილიდან მტკვარში გადავვარდები.
— თქვენ წესს არდვევთ: ვერა ხედავთ თქვენს წინ რა წარწერა?



ომის ღვართი გამოსლახა ფაშისტებთან

ვისაც და უაშესები: — მარსი კიარა, ნამდვილი მარუსია ყოფილა, ერთი უუმბარით წუთმეტი ბავშვის ჩოქვლა შეუძლებელია, შედაფა
რას ამაგებ!

გავალის ჭკეა

ობილისში, ორჯონიქიძის რაიონის განათლების განყოფილებამ ამავე რაიონის მე-61 საბაგზო კერის გამგედ ნატალია კირიკოვა დანიშნა.

საბაგზო კერაში მუშაობის „გადახალისებისა“ და „მანამდე არსებული დეფიქტების“ აღმოფხერის მიზნით, ნატალიამ კერის ბავშვებს თავი მოყვარა და თაბირი გამართა:

— აბა, ციცუნიებო, ჩა აზრისა ხართ ახლა თქვენ ჩვენი მუშაობის შესახებ? — საჯაროდ დასვა კითხვა ნატალიამ.

ბავშვებს პასუხი არ გაუციათ.

— მაშ არაფერს იტყვით? ყველაფერი კარგად ამის, ხმა?

— ხმა არავინ ამოილო.

რომ არაფერი გამოვიდა, ნატალიამ „სათათბიროდ მოწვეული“ ჯამაათი დაშალა და ცალცალკე დაიწყო ბავშვების გამოვითხვა:

— აგრძელინა, მითხარი ჭირიმე, დღეში ორასი გრამი კატლეტი გეყოფა?

— ელთი... სამი... ხუთი... ლვა, ოლი... — თავისთვის წამორტიკტიკა ბავშვმა.

— ლორი ხარ შე ოჯახორო! რა ამბავია ამდენს რომ თხოულობ?

— გოლი მამამ დაქლა, საჭალი, სისქლი გამოუვიდა...

— მამაშენს არ გეკითხები, მითხარი სამასი გრამი თუ გეყოფა დღეში?

— მე სამასი გლამი ალ ვიცი ლა ალის, მე გლამებს ალა ვწიმ, მე მიკვალს კამფეტი, ჩიი...

— დედა, — გაოცდა ნატალია — ამ ბავშვებს ანგარიში სულ არ სცოდნიათ, მაშ არ იცი სამასი გრამი რა არის?

— მე ეგ ალ მიწამია, მასწავლებელო.

— სამასი არ იცი რამდენია?

— ალა.

— მაშ არც ექცსჯერ ექცსი იცი რამდენია?

— ალა, ლა ვიცი...

— ხუთჯერ ხუთი?

— ბავშვს ხმა არ ამოულია.

— დედაია სულ უკულტურობი არ ყოფილი?! — წამოიყვირა ნატალიამ და რითმეტიკის გაკვეთილი მოაწყო.

გამოირკვა, რომ ბავშვების ოთხმოცდაცხრამეტმა პროცენტმა ათამდე თვლაც კი არ იცოდა:

— მატყუილებენ უსინდისოები! — გაიფიქრა ნატალიამ — აშკარად გაცურება უნდათ ჩემი. ხუთჯერ ხუთი რა არის, რომ არ იცოდნენ!

— ნატალიამ თავისი ექვის გამორკვევის მიზნით, ბულალტერ მერი ეფრემიძეს დაუძახა და მიმართა:

— მე 272 მანეთის ნაცელად 250 მანეთი ჯამაგირი დამინიშნე, შენ ორის მანეთის ნაცელად 400 მანეთი დაინიშნე: ვნახოთ ერთი მიხედვებიან თუ არა...

ბულალტერმა ბრძანება შესარულა და ბავშვების „გამომცდელებმა“ წაუყუჩეს.

გავიდა ერთი თვე... ორი... სამი... ხუთი... ოვა...

ვერც ერთი ბავშვი ვერ მიხედა, რომ მათ „სცდილნენ“.

კირიაკოვას და ეფრემიძეს კი ისე გაუტკმა ეს გამოცდა, რომ წაუყუჩეს და კიდევ დიდხანს არ ამოულიათ ხმა.

კიდევ დიდი ხანი გავიდა, საბაგზო კერის ბავშვებმა ათასების თვლა ისწავლეს, სკოლაში დაღიან, მილიონებს ანგარიშ... ბენ, მაგრამ ორჯონიქიძის რაიონის განათლების განყოფილებაში ზოგიერთმა „ბავშვმა“ კი დღემდისაც ვერ იგრძნო, თუ რამდენი განსხვავებაა თვიურად 472 მან. და 750 მანეთს შორის. ეჭ, რა არის ბავშვის ჭკეა!

გ05

ნახ. გ06. ოთაროვისა



[ღაზარალებულის თავაზისობა]

ინგლისელი: — ჩა უკულტურობაა, უკვე მესამეთ ისგრით და ჯერ ერთი ბოდიშიც არ მოგიხდიათ.

მუმთხვევა

ს ა ს ფ ა შ ლ ი

ა ვ ა რ ი ა

გუშინ, უორესისა და პლეხანოვის პროსპექტის გზაზე გამოხვევით გაიღო მესამე ნომერ ტროლეიბუსის შესასვლელი კარები და ოთხი მგზავრი დარჩენას გადაარჩინა. შემოწმებით კარები მოშლილი იღმოჩნდა.

გუშინ, საღამოს, კინოთეატრ „დამკვრელი“ გამგე შემთხვევით დაეჯახა ამავე თეატრის ბილეთების გადამყიდველს. „დაზარალებული“ მოთხვეს ბულია თეატრის ჭინ, სხვა გადამყიდველებთან ერთად. კვლევაძიება არ სწარმოებს.

გასალცარი ამბავი

წუხელ, სასტუმრო „ორიანტის“ რესტორანის ერთერთი თანამშრომელი შეცდა და მოქ. რასმერჩიშვილის დაახარჯი ზუსტად, გადაუმეტებლად იანგარიშა. მომხმარებელთა გაოცებას საზღვარი არა აქვს.

რეისი პროტეზციით

მოქალაქე რაიგარ ასემინდაშვილმა ისარგებლა რა მილიციელის ნაცნობიაბით, გადასასვლელიდან ორმოცი მეტრის დაშორებით, ხუთის წუთის განმავლობაში ოცდაექსჯერ გადავიდ-გადმოვიდა ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე.



დ ა ი ჟ ი რ ი

- მამილო, რათ არის ეს კაცი უთმო?
- იმიტომ შვილო, რომ ეს ფილოსოფოსია, ჭყვიანი იყო, ბევრს ფიქრობდა...
- მამილო, შემ რატომ გაქვს ამდენი თმები?



ყიმანუელის ძმას (თბილისი). რკ. გზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სასადილოს შესახებ გვწერთ:

მოდი და გამგეს იქნება
დაწყებინო კანკალი,
გვესტუმრე, საჭმელ-საკბილო
ხუყვლაფერი აქ არი,
თან, ბოდიშს გინდით, არა გვაქვს
არცერთი დანა-ჩანგალი.

ნიანგმა თქვა: საგბილო რახან ყოფილა, ჩანგლისთვის ნუ შეწუხდებით, ჩემი ჩანგლით გესტუმრებით.

ჯუმბეკს (მუხიანი) იწერებით:

ვალერიანე ბაბუნაშვილმა
მუშაობაზე ხელი აიღოვო,
ერთი კონა წიწმარიტა
ფოთის ბაზარზე წაიღოვო“.

ნიანგმა შემოგითვალათ: ეს ლექსიც რომ „წიწმარიტასთან“ ერთად ვალერიანესათვის გაგეტიანებინათ ფოთის ბაზარზე „ვუფრო“ კარგი „იქნებოდავო“.

ნოლელს (ქვემო ნოლი, სამტრედის რ.) კოოპერატივის ნოქარი ამირან თევზაბე, თქვენი თქმით, თურმე ასე მღერის:

წელში გაესწორდი, გაემაგრდი,
კარგად გარ, აღარ გსტირი მე,
ცოტ-ცოტას ყველას დაგაკლებ,
ხურდა ფულების ჭირიზე.

ამირანის „სოლოს“ თუ კოოპერატივის გამგის „დუეტიც“ არ ეშარება, საჭმე არც ისე ძნელი გამოსასწორებელი ყოფილა.

გვრიტხ: (ცაგერი) თქვენი აბანოს შესახებ იწერებით:

„მიგედი და შეველ ჩქარა,
მიგიხედე, მოვიხედე,
დავინახე ზიზლით რამე
სოველია ცველაფერი“...

ძალიან ცუდად ყოფილა მოწყობილი თქვენი აბანო. ჩვენში კი თბილისში, ზოგიერთი აბანო ისე არის მოწყობილი, რომ ხანდახან, სისველეს კიარა, ერთ წვერი წყალსაც ვერ ნახავთ.

სატიველს (სოფ. სატივე, სამურის რაიონი) გვატყობინებთ: „ბელლის გამგე არჩილი ისე „დამკვრელურად“ მუშაობს, ისე „ხშირ-ხშირად“ აღებს და კეტაგს ბელელს, რომ კლიტე დაუანგდა და ბელლის კლიტის მოხსნა რომ მოვინდომეთ, მთელი სოფელი დაგესიეთ, გიწვალეთ, და მაინც ვერ მოვხსენით“.

შე კაი კაცო, გამოსავალი ზოგორ ვერ მოძებნეთ: კლიტე თუ ვერ მოხსენით ბელლის გამგის მოხსნას წინ რა უღგას?

გაბრიაძეს (თბილისი, მედ. ინსტიტუტი): თქვენი „ლექსის“ ორი ტაები, რომელიც მედქალაქის სასადილოს ეხება, მოგვყავს უცვლელად:


„სასადილოს შინაარსი საოცარი საქმეა
დახურული კი არა, ნამდვილი ფულის მახია
თუ კი მაწონს გამოიტან ნახევარი საფხეა
ყველამ ყური მიუგდოს—ეს საქმე რომ ასთია
ყველას გაგვეგება რომ ხაიერის ცვლა კარგია
სასადილოს გამგე გრიშა ამ საქმეში მარჯვია
მითხარ ძმავო გუცელი თუ სალესავი ჩარხია
რას გადაგაქ აქეთ-იქეთ ეს ასე არ ვარგეა“.

„ლექსის“ დანარჩენი ნაწილი „გამოსარკვევად“ გადაეგზავნა თქვენს ლექტორებს, რომლებმაც ხანდახან ფრიადების წერა იციან.

საქ. კ. 3. (ბ) მე-18 ყრილობის მოწვევებასთან დაკავშირებით დაამჴარა აზალი. რეკორდი: 14 თებერვალს დაგრძნელი 1630,7 მრავალტრიტ შეასრულა.



სტაბანოვის სირვა და...



ს ი დ გ ი

სარედარცხო კოლეგია. რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ; № 5, თელ. 8-74-67. სტამბა „კომუნისტი“ ქამოს ქ; № 68. გადაეცა წარმოებას 14/III სელმოწერილია დასაბეჭდათ 20/III 39 წ. შეკვეთის № 318. მთავლითის რწმუნ. 6—3806. ტირაჟი 15.000. კლიშეები | დამზადებულია | სახელგამის ცინკოგრაფიის მიერ.